# ნიანგი

№ 3



12 686



ჩაწერილ ხუნხუზებს და თეთრ გვარდიელთ
რომ ესევიან ხაბჭოთა საზღვარს,
თუ ეს მანდჟური აღარ ეყოფათ
ცხვირიდან ვადენთ ხისხლის ნიაღვარს.

# შოლტიანის მოხსენება

ველა ჟურის არამზადას
მოლოკივით თავი ვკვეთოთ.
მინდა ქვეყნის რამე-რუმის
მოხსენება გაგიკეთოთ.
ჩან-კაი-ში გაიძვერა
მამალივით გაიბერა,
ველა ყაჩაღს თვალი უქნა,
ენც კი იჯდა დღემდე უქმად.
მოგვისია ძაღლებივით—
თან დაჰპირდა მსუქან ლუკმას.
ეხლა ზის და თავში იცემს,
სომწარისგან უვლის ბუქნას.
აქეთ ცეცხლი — იქით ცეცხლი,
როგორა ხარ ჩან-კაი-ში?!
ჩვენს საზღვრებს რომ მოადექი,
რას კანკალებ ეხლა შიშით?
უბედურო, შენთვის ეგდე,
რათ ჩავარდი გასაჭირში!
აბა ტაში, ტაში-ტუში!
ამე უნდა გითხრათ ყურში!
ალბათ გახსოვთ ჩემბერლენი,
რუზვენი და ბაიყუში.
ინგლისი რომ ხმას არ გვცემდა
გაბუტული გვყავდა გუშინ,
დღეს თითონვე გვითხრა „დრასტი".
ძველ შეცდომას ნანობს გულში
საფრანგეთში უარესად
ხერია მონასტერი...
მინისტრების თავში დასვეს
ბურჟუების მონა-შტერი..
ერთი ძაღლი ჩამოაგდეს,
ბიძაშვილი დასვეს ძაღლის.
ელრინის და ჟაჟვით ებას
ყეფისაგან მას რა დაღლის...
აბა ჩქარა, ტაში-ტაში!
ეს არ მომდის რაღაც მკვაში,
რომ პილცუცკი არცა კვდება
და არც მიდის „ოტსტავკაში"..
ჯერ უცქერით ამ ბაიყუშს,
ჩერჩეტსა და ბებერ ქოფაკს,
რომ პოლონეთს წამოაჯდა
ქადახავით გახაყოფათ!
ხან თუ ჩვენზე იღრინება,
ხან ლიტვისკენ იშვერს ხელებს.
ავიწყდება, რომ საცაა
გადავიხდით თვით მის ქელეხს.
ეხეც ახე... ტაში-ტაში!
ერთსაც კიდევ გეტყვით ყურში
ყანდაგარში და ქაბულში
ხაბიბულა იჯდა გუშინ..
როცა ბედი უღალატებს,
კაცს აბა რა გადაარჩენს!
ხწორედ ასე ამნაირად,
დაემართა „მისტერ" ბაჩეს...
ჯერ იყო და დასვეს ტახტზე..
ამანულა გააუქმეს.
ბოლოს მასაც უცაბედათ
უარესი „შტუკა" უქნეს!
ასე ხდება ქვეყანაზე,
ახეთია ჩვენი ხანა..
მოხსენება დავასრულე
და შეჩერდა ენის ფხანა!

შოლტიანი

# საბჭოს სხდომაზე

(ასე იყო ერთ სოფელში)

— ამხანაგებო, ჩემი წინადადება—დავაწინაუროთ დარაჯი ივანე და გადავიყვანოთ კანცელარიაში რაიმე სამუშაოზე!

— მერე წერა კითხვა რომ არ იცის, რა უნდა გააკეთოს კანცელარიაში?

— კაცი ყოფილი მამასახლისია და როგორ არ ეცოდინება წერა-კითხვა!

# ტეფანე კინოში

შეფებმა დაპირება შეასრულეს და სოფელში მოძრავი კინო გაგზავნეს. კინოს ჩამოსვლის ამბავმა მთელ სოფელში დიდი სიხარული გამოიწვია. აჩვენებდენ სურათს „სურამის ციხე"-ს.

ტეფანე ყველაზე ადრე მივიდა სოფლის კლუბში, პირველ რიგში დაჯდა და შვინდის დიდი კომბალი იქვე სკამთან მიაყუდა.

ტეფანეს ჯერ არ ენახა კინო და ამიტომ გაკვირვებით უცქეროდა სვეტებზე გაკრულ ფართო ტილოს.

უეცრად დაბნელდა.

— გაანათეთ ძმებო! — იყვირა ტეფანემ. — ბნელაში რა უნდა დავინახოთ.

ყვიროდა ტეფანე, მაგრამ არ ნათდებოდა. უეცრად ტილოზე ამოძრავდა ტყე, მინდორი, ხალხი. ამ უცნაური სანახაობით გაკვირვებული ტეფანე განცვიფრებული დარჩა.

ტყე, ღელეები, მდინარე და სხვა მრავალი სანახაობა ელვის სისწრაფით სცვლიდენ ერთმანეთს. გაოცებულმა ტეფანემ სულ სხვა, უცხო ქვეყანაში წარმოიდგინა თავი. აი მის წინ უეცრად აღელვებული და ქაფმორეული ზღვა მოვარდა. როდესაც ტალღა წინ წამოვიდა, ტეფანე წამოვარდა შეშინებული და გაქცევას აპირებდა, მაგრამ ამ დროს სულ სხვა სანახაობა გამოჩნდა.

მის წინ გაიშალა საბძელი, კალო, ძნები, ტეფანე დამშვიდდა. მაგრამ ეს რა ამბავია? კევრებში საქონელთან ერთად ადამიანები შეუბამთ. აგერ ძველებური ბატონიც სდგას და ბრძანებს შოლტი გადაჰკრან უღელში გაბმულ გლეხებს.

აემღვრა ტეფანეს თვალები... ბრაზი ახრჩობს... როცა ბატონმა კიდევ ბრძანა გლეხების გაშოლტვა, ტეფანემ მეტი ველარ მოითმინა, მოიმარჯვა შვინდის კომბალი და მივარდა სურათს ყვირილით:

— კიდევ დარჩენილან ეს ძაღლები! დაჰკათ მაგათ!

ატყდა აურ-ზაური... გაანათეს.. ტეფანე გიჟივით ტრიალებდა და კომბლით იმუქრებოდა. ტილოზე ძველ თავადს ველარ ხედავდა, მაგრამ უეცრად თვალი მოჰკრა კუთხეში მიმჯდარ კულაკების ჯგუფს და ამართულ კომბლით გაექანა იმათკენ. შეშინებულმა კულაკებმა გაქცევა მოასწრეს. ტეფანე მხოლოდ ერთს წამოეწია და ისეთი უთავაზა ზურგში, რომ იქვე ძირზე დაანარცხა.

რის ვაი-ვაგლახით დაამშვიდეს ტეფანე და აუხსნეს ყველაფერი.

— მეზობლებო! — ამბობდა დამშვიდებული ტეფანე, — მაპატიეთ, რომ სურათის ცქერა შეგაწყვეტიეთ. კულაკის გალახვას კი სრულიად არა ვნანობ, რომ საშუალება მქონოდა, ისიც ასე შევვაბამდა უღელში!

ნიახურა

## დარწმუნდენ



— ეხლა კი მჯერა, რომ მიწა ტრიალებს!

— მარალი ყოფილა, მაშ! დახე, როგორ ციბრუტივით ტრიალებს ის ვერანა!

## ასეთებიც არიან



— ისევ გიწვიათ შეფები?

— ყოველ შემოდგომაზე მოვლენ, შესვამენ, შეხრავენ, დაგვპირდებიან და მეორე შემოდგომამდე აღარ გვიხსენებენ.

## ზოგან ასე--ზოგან ისე

I.

— შეიძლება კოოპერატივის გამგის ამხ. დაბალაშვილის ნახვა?

— რატომ არ შეიძლება! მაგრამ ეხლა აქ არ არის. გლეხკომის თავმჯდომარეთაც არის არჩეული და იქ წავიდა. მიდი, ნახავ...

— აქ არის გლეხკომის თავმჯდომარე?

— იყო და არხის სამუშაოზე წავიდა... სამუშაოს ხელმძღვანელად არის არჩეული... საჩქაროდ დაიბარეს!

— სამუშაოს ხელმძღვანელი მინდა ვნახო!

— ეს-ეს არის წავიდა... თემსაბჭოში გამოუძახეს... მოგეხსენება, თავმჯდომარის მოადგილეა... მის მეტი საქმეს არავინ აკეთებს...

— თავმჯდომარის ამხანაგის დაბალაშვილის ნახვა შეიძლება?

— რატომ არ შეიძლება.... მაგრამ ეხლა აქ არ არის.. გლეხკომში ისევ გაიძახეს სასწრაფო საქმეზე!

— გლეხკომის თავმჯდომარე აქ არის?

— იყო და წავიდა... არხის სამუშაოზე რაღაც გაფუჭდა და...

II.

— შეიძლება კოოპერატივის გამგე ვნახო?

— შეიძლება... ოღონდ ეხლა გლეხკომის თავმჯდომარესთან არის წასული...

— აქ მომასწავლეს... კოოპერატივის თავმჯდომარე აქეთ წამოსულა.

— იყო, მაგრამ გლეხკომის თავმჯდომარესთან ერთად არხის სამუშაოთა ხელმძღვანელთან წავიდა...

— აქ არიან, ამხანაგო, კოოპერატივის გამგე, გლეხკომის თავმჯდომარე და არხის სამუშაოთა ხელმძღვანელი?

— იყვენ ნახევარი საათის წინ. აქედან ყველანი თემსაბჭოს თავმჯდომარის ამხანაგთან წავიდენ.

— თავმჯდომარის ამხანაგი და სხვები აქ არიან?

— კოოპერატივის გამგეს ნიძლავში სადილი წაუგია და ყველა იქ არის!..

ციყვი.

## ბრძნული აზრები

— არაყი თეთრია, მაგრამ ცხვირს კი აწითლებს (სოკრატე).

— სასარგებლოა იმ ეკლესიაში სიარული, რომლის შენობა კლუბათ არის გადაკეთებული (პეტრე მოციქული).

სწორი.

## ნათლიმამობის ძალა

წუხელ კინოში არ მიშვებდენ უბილეთოთ, მაგრამ ერთი მაგრა შეუკურთხე მშობლები მეკარეს და შემიშვეს.

— ეგრეა ძმაო, ყველაფერი ნათლიმამობით კეთდება, ნათესავები გიხსენებია და იმიტომ შეუშვია.

## სიზმარი და სინამდვილე

ცხედავ ალექსის „საქმე“-თი ხელში
ამაყად არის ჩემს წინ მდგომარე.
სჩანს გამოცოცხლდა გლეხკომი თემში,
რაც ავირჩიეთ ის თავმჯდომარედ.

—:—

სასადილოც ხომ მორთო-მოკაზმა
(გარედ გლეხკომის აბრა აშვენებს!)
ცოტა ხანი და, ამ ტურფა დაბას
გლეხკომის სახლიც კი დაამშვენებს...

—:—

ტრაქტორის გუგუნს ვერ უძლებს სმენა,
იხვნება ზლომად ჭალა-ყამირი...
მალე იქ ყანა აბიბინდება
სადაც აქამდე ხტოდა ნადირი.

—:—

ჩვენს ივანესაც აღარ აზმორებს,
სადღაც სოფელში მიეშურება—
გადასახადის აკრეფას ჩქარობს,
ჯაფა და შრომა არ ეზარება.

—:—

მხიბლავს ეს სახლი წამოჭიმული—
(შენც გაგახარებს ჩემო მკითხველო!)
ვინ არ იხარის, როს დაინახოს
დვაბზუს სათემო ქოხ-სამკითხველო!

—:—

გიემაც ნატანებს დაუგეს მახე,
ქისერი ლარში გადაულუნეს...
მტერის გული ეწვის, სადამოობით
ჭადრო-სადგური ძლიერ რომ გუგუნებს.

—:—

...და ალტაცებით ხელი შემოვკარ,
რომ ჯაერით კვდება ჩარჩა თოფალი!
გამომეღვიძა... ტფუი ეშმაკსა!
თურმე ეს ყველა სიზმრად ყოფილა!

ბიძ. ბეჩდიხანელი

## სახტათ დარჩენ



— პატარძალი სადღა არის?
— ასე სთქვა რომაო, რა დროს ქორწილიაო, ქალთა კრებაზე მივდივარო!

# აგრონომი კიტრაძე

აგრონომი კიტრაძე გაბრაზებულია. მიწად-მოწყობის განყოფილება გზავნის მას სამუშაოდ შორეულ სოფელ მთიანაში. აგრონომს ეს ამბავი არ მოსწონს, სცდილობს როგორმე იძვრინოს თავი და დარჩეს ცენტრში. ლახტის მეორე დღეა და საქმე ვერაფრით მოუგვარებია.

— თუ ხათრი გაქვს, — ეუბნება იგი სამნეო ნაწილის გამგეს. — უნდა მიშველო რამე, მე ახალგაზრდა კაცი ვარ, ჯან-ღონით და ენერგიით სავსე.... აქ, ცენტრში, უფრო მეტ სარგებლობას მოგიტანთ ვიდრე ცხრა მთას იქით, მომეხმარე, მოიგონე ჩვენი ძველი მეგობრობა და პურმარილი, მოელაპარაკე გამგეს, დაუმტკიცე, რომ აქ უფრო საჭირო ვარ... მომაწყვე როგორმე თუ გინდ საკანცელარიო სამუშაოზე, იქ კი სხვა აგრონომი გაგზავნეთ. იმისათვის კი არ მიმიღია სწავლა-განათლება, რომ სადღაც პროვინციაში გავველურდე. შენ თვითონ საქონლის ექიმი ხარ, მაგრამ სამნეო ნაწილს განაგებ, შენზე ნაკლები თხა მგელმა შეჭამოს. რატომ უნდა გადამაგდოთ უდაბნოში?!

რამოდენიმე დღის შემდეგ აღნიშნულ დაწესებულებაში მოხსნეს ბუხჰალტერი კრედიტავა და მის ადგილზე შემოასკუპეს აგრონომი კიტრაძე.

— მართალია შენ ბუხჰალტერიის არაფერი გესმის, მაგრამ ეს არაფერია, მთელი საქმე მოანგარიშეებს დააკისრე, — ეუბნებოდა მას სამნეო ნაწილის გამგე, რომელმაც ეს საქმე მოაქახრაკა.

—:—

სამსახურიდან მოხსნილი ბუხჰალტერი კრედიტავა სამი თვე უმუშევრათ დაწანწალებდა. საცა კი მიმართავდა, ასე უპასუხებდნენ:

— შესაფერი სამუშაო ცენტრში არ მოგვეპოვება, მაზრაში — კი არც ბუხჰალტერი გვჭირდება და არც მოანგარიშე: იქ მღვდელ-დიაკვნებიც კარგათ უძღვებიან ამ საქმეს. აგერ სოფელ მთიანაში გვჭირდება ერთი საქონლის ექიმი და ერთი აგრონომი, თუ შეგიძლიათ ამ დარგში მუშაობა, სიამოვნებით გაგგზავნით-ო

კრედიტავამ უმუშევრობას აგრონომის ადგილი ამჯობინა.

ჯამაგირის ანგარიშში მიღებულ თანხებიდან იყიდა სათვალეები, დაიწყო ცხვირზე და მესამე დღეს მთიანას ესტუმრა.

—:—

მთიანას გლეხების სიხარულს საზღვარი არა აქვს. რამდენი ხანია ელოდენ აგრონომს და ეღირსათ კიდეც!

— აგრონომი გვეწვია! — ისმოდა ყველგან.

— აგრონომი მოვიდა! — ყვიროდენ გლეხები.

— აგრონომი მოგვევლინა! — ყიოდენ მამლებიც.

ყოველ მხრიდან კრედიტავას ეჭიდებოდნენ და რჩევა-დარიგებას სთხოვდნენ. გლეხობა ბუზივით ეხვეოდა. მაგრამ იგი უცბათ არ შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. ვითომდა დასასვენებლათ მოითხოვა სამი დღის ვადა, ჩაუჯდა ცენტრიდან ჩამოტანილ წიგნებს და ბროშიურებს, რამდენჯერმე ვადაიკითხა, მაგრამ ვერაფერი გაიგო, — ბოლოს გადასწყვიტა თავისით შეედგინა პირველი ლექცია.

— ბნელი და გაუნათლებელი სოფელია, რას გაიგებენო.

—:—

მთიანას გლეხობას მოუყრია თავი კლუბის ეზოში და გულმოდგინეთ უსმენს მომხსენებელს.

— ამხანაგებო! — ღრიალებს კრედიტავა — სოფლის მეურნეობა, როგორც ასეთი, უნდა დავაყენოთ სასურველ დონეზე და სასტიკი ანგარიში გაუწიოთ მას; ანგარიშს — კი თავისი წესები და კანონები აქვს. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ყოველ მეურნეობას აქვს თავისი შემოსავალი და გასავალი, ანუ დებეტი და კრედიტი. შემოსავალი იწერება მარჯვენა მხარეზე, გასავალი — მარცხენაზე. ამრიგად თუ აწარმოეთ ანგარიში, წლის ბოლოს გაიგებთ თუ რამდენი გქონდათ ზარალი ან მოგება. პირველ ხანებში დაგჭირდებათ მხოლოთ რამოდენიმე წიგნი, სახელდობრ, მთავარი წიგნი, მემორიალი, პირად ანგარიშების ჟურნალი, როსკონტრო და საკალკულიაციო. ეს იმისათვის, რომ იცოდეთ თუ რომელი საქონელი რა ფასში უნდა გაიყიდოს. წლის ბოლოს ბალანსის შედგენაში მე თვითონ დაგეხმარებით. ანგარიშის წარმოება ამერიკულ სისტემით უფრო იოლი და ადვილია, მაგრამ ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ..

კარგათ შებინდებული იყო, როცა კრედიტავამ გაათავა მოხსენება, მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ეზოში არც ერთი გლეხი აღარა სჩანდა. დარცხვენილმა აიკრა გუდა-ნაბადი და სახლისაკენ მოჰკურცხლა. დღეს მთიანაში აგრონომს აღარავინ ეკარება.

ჭინკა.

# ვერ გაიგო



— ვერ გამიგია რად მეძახიან წვრილ ბურჟუას?! მე და წვრილი? აფსუს!

## წმენდის მოლოდინში

თემსაბჭოს მდივანს ძალიან კაპასი ცოლი ჰყავდა.

ერთხელ, როდესაც მამაკაცი სადილობდა, შემოუვარდა ცოლი და დაუწყო ლანძღვა:

— შე ვიგინდარავ, კერპო, ბიუროკრატო, მექრთამევ, ზანტო, გაფუჭებულო და უვარგისო, უსინდისო და გათახსირებულო, არ დამეხსნები? როდემდის უნდა სწოვო ჩემი სისხლი?!

მდივანი თავჩაქინდრული იჯდა მაგიდასთან და მოთმინებით ისმენდა.

კარგა ხანს ლანძღავდა ცოლი, მაგრამ რაკი მდივანი სდუმდა და არაფერს უპასუხებდა, დაიღალა და გაჩუმდა.

მდივანმა ასწია თავი და დაიძახა:

— გაათავეთ? დაბრძანდით! აბა, სხვა ვისა აქვს სიტყვა? — მაგრამ როდესაც დაინახა გაოცებული ცოლი, გადაისვა შუბლზე ხელი და სთქვა:

— დასწყევლა ეშმაკმა, ჩემი თავი საბჭოთა აპარატის წმენდაზე მეგონა!

შავი.

## თხამ ვენახი, მგელმა თხა, გამგემ „ეპო“ შეჭამა

(წალვერიდან)

მოდი ვნახოთ „ეპო“ ჩვენი, ხომ არა სჭირს რამე სენი. ვხედავთ ჩვენი მაღაზია გარეგნულად ლამაზია. პუდრი, დუხი, მოგვაქვს ოხრათ — ბიჭიც კარგი გვიზის ნოქრად...

ჩვენი ეპო მიველ ვნახე — დამეჭყანა დარდით სახე. თუ რამ კარგი შეხვდა გამგეს, თავის სახლში მიაქვს გახვეგვ... — და თუ ვიტყვი უფრო მართალს — ეზიდება შაქარს, ფართალს... გამგეობას არას ჰკითხავს, — მოედანი დარჩა ვირთხებს!..

მოდი ეხლა ვნახოთ „ფურნე“ — არ გეგონოთ ძმაო ხურმა. თურმე ჯერზე სჭამენ სამ ცხვარს, — აყოლებენ ზედაც ნამცხვარს! ქეიფმა და დოლმა, ზურნამ — გადაყლაპა ბოლოს „ფურნე“. ოთხი ათას მანეთამდე აღარა სჩანს ძმაო დახლში, ზოგი გამგეს, ზოგი ნოქარს წაუღიათ მგონი სახლში!..

აღარ წავალ იქვე ცემში, რაღაც ეჭვი ბუდობს ჩემში... აქაც თურმე „ეპო“-ს „ფურნეს“ დახლი სულ მთლად „გაუკურნეს“... და მფლანგველთა ამ ძმურ კარავს, — გამგეობა დღემდე ფარავს; გამგეობა შუბლზე ჰკოცნის, ვინც გლეხობის დოვლათს სცოხნის.

და მითხარით აბა ეხლა: რამდენი აქვს განა „ეპოს“,— რომ ნოქრებს და ყველა ოხრებს — საფლანგავად ძმაო ეყოს?!

### ასე მოხდა

— კაცო შენ ხომ კულაკი ხარ? შენი შვილები კომკავშირში როგორ მიიღეს?

— მე მაშინ საბჭოს თავმჯდომარედ ვიყავი და როგორ არ მიიღებდნენ?

— მერე თავმჯდომარედ როგორ-ღა აგირჩიეს?

— შვილები კომკავშირელები მყავდა და წინ რა დამიდგებოდა?!

## ზოგიერთ ნოქრებს

არ გჭირდებათ დარიგება,
მაინც გეტყვი ძმია:—
კასრში ღვინო რომ გიხხია,
გაურიე წყალია.
სისწორე და სინიდისი
განა საკადრისია?
გლეხს თუ ღვინო არა აქვს,
წყალიც საკმარისია!
რომ მიიღოთ მიტკალი,
ბამბაზია, ძაფია,
გადინახეთ ჯერ თქვენთვის
რაც უფრო იაფია.
გემოკვების საკითხი
თქვენთვის გარკვეულია—
ყველი, კვერცხი, ყოველ დღე
გქონდეთ გახვეულია.
თქვენთვის ეს დარიგება
თუმც საჭირო არ იყო...
უფრო კარგად გაძღებით,
რომ ეს წმენდა არ იყოს!

დესიკო.

## ანდაზები

### შესწორებული შოლტიანის მიერ

— ურემი რომ გადაბრუნდება, პატრონი ისევ გადმოაბრუნებსო.

— ავი ძაღლი არც თითონ სჭამს, თუ საჭმელი არა აქვსო.

— ქათამი რომ წყალს დალევს, ყელს დაისველებსო.

— კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო, თაროზე მაღლა დევსაო.



— კოოპერატივში სიმინდი გამოილია?
— აბა რა იქნებოდა! ხომ იცი რა დიდი ნათესაობა ჰყავს გამგეს!



## გლეხებს არ უნდა ფართალი — ასეთია მათი სამართალი

მარტყოფის „ეპო“-ში თავი მოუყრიათ ნათესავებს და ძმა-ბიჭებს, რომლებიც ფართალს და სხვა საქონელს თვითონ ინაწილებენ, გლეხობას კი ფარს ეუბნებიან...

(მახლობელი).

საქონლის ასე განაწილება — სად ისწავლეს ამ ყმაწვილებმა? ან ბერიშვილს რომ მიაქვს ნაჭრები მსუქანი — ეპო ხომ არ ჰგონია თავისი დუქანი? სად არის სარევიზიო კომისია, სად სძინავს საბჭოს, — როდესაც კოოპერატივი ამნაირად ვაჭრობს? ამდენი მოთმენა კმარა, — პასუხი გაგვეცით ჩქარა!

## ცინცაძე სერგოს — ეს სოფელი ლატარიაში ერგოს

ნახევარ წელ[…] მიქვენაში ექიმად მოგვევლინა სერგო ცინცაძე. თუ გლეხის ბინამდე ათი ნაბიჯია, ექიმი ათ მანეთს იღებს, თუ 20 ნაბიჯი — ოც მანეთს — და ასე, თითოეული მისი ნაბიჯი ერთი მანეთი ღირს...

(ა—ნი).

ფულს ვინა ჩივის არ უწუნებთ ამას — ჭამოს თუ კი შესძლებს ჭამას, ის ვაჭრის შვილია და დამზგავსებია მამას.. საქმე იმაშია, რომ გლეხებს, თურმე ბატონივით უზრაგუნებს ფეხებს. ზოგჯერ კი მთელი დღეებით გაბმულია ლხინში და ღვინო ულიტინებს ტვინში! მექვენის გლეხობის უკმაყოფილებას— ბოლო მოუღე ჯანმრთელობის განყოფილებავ!

## თავმჯდომარე გავაზელს—შოლტი მოვცხოთ გავაზე

სოფელ ძველი გავაზ[…] საბჭოს თავმჯდომარე ლაფაჩიშვილი არაფერს აკეთებს ლოთობის მეტს. ამას წინათ მასთან მიიყვანეს ყაჩაღების თავდასხმის დროს დაჭრილი გლეხი. მან ყურადღებაც არ მიაქცია მას. წავიდა ყვარელში, საიდანაც საშინლად გალეშილი დაბრუნდა. დაჭრილი კი უპატრონობით მოკვდა...

(გავაზელი).

ალბათ თავმჯდომარე ყურადღებას მიტომ არ აქცევს ყაჩაღებს — რომ სოფლის მეურნეობის ნაწარმოებს — ღვინოს ახალებს. ეტყობა მიტომ სვამს დღისით და ღამით, რომ სოფლის დაწინაურება უნდა მას ამით.. ამიტომვე არ უშვებს ის ქელეხს, ნათლობას... ოდ[…]ქის ალმასკომიც ალბად გამოუცხადებს „მადლობას“!..

## ერთ დროს „პრისტავად“ ყოფილი—არის ბედით კმაყოფილი

ზუგდიდის სამფინგანის გამგის მოადგილედ ბრძანდება სენაკის მაზრაში მეფის დროის ცნობილი ბოქაული ხარდიონ მალლაკელიძე...

(სიკო).

საბჭოთა დაწესებულებებს და აპარატს — ჩვენი მტრები ხშირად იყენებენ [ფ]არად... და აი ზუგდიდშიც თითქოს განგებ, თითქოს ძალათი — თავზე წამოგვსკუპე[ს] ცნობილი ჯალათი... დღეს ეს „გმირი“ ცხოვრობს გალო[…], ეტყობა ვიღაც მფარველის წყალობ[ი]თ... საკვირველია, როგორ ვერ შესძლეს ამის გაგება — ზუგდიდელმა ამხანაგებმა?!

## სკოლის ღვინით და ფულებით — არ აკლია მოხრაკულები

სენაკის მაზრ. კურზუს თემში ახალგაზრდობის სკოლის გამგე მალაქია სხულუხიამ გაფლანგა სკოლის თანხა, მიითვისა სკოლის ღვინო და სხვა ქონება. ადგილობრივმა ორგანიზაციამ ეს გამოარკვია, მაგრამ ვიღაცის მეოხებით მას კიდევ არ ხსნიან სკოლიდან...

(მეზობელი).

რაკი სხულუხიას ჰქონია თვისებად — სასკოლო თანხების მითვისება, — ეს გაუსწორებელი მფლანგველი არის ამ სკოლიდან გამოსაგდელი... მაგრამ ეს საქმე ისე უნდა მოხდეს, რომ მის „მადალ“ მფარველსაც მოხვდეს!.

## დაგვიანე ბული დეპეშა

ჩვენს სოფელში დატრიალდა—
საქმე მართლა გასაკვირი.
მბრძანებლობდა ონისიმე —
დღეს შეექმნა გასაჭირი.
ის სდევნიდა ქურდ-ბაცაცებს,
ბოლოს იქცა თვითონ ქურდათ.
მაგრამ დახე მალე მოხვდა
და მიიღო ციხე ხურდათ...
ჩავარდა და ახიც არის —
ჩვენ ამაზე არა ვდარდობთ.
„ჭინჭარაძე დღემდე ასე—
გვარეთ რისთვის დანავარდობს?
ამბობენ, რომ მასთან ერთად
გადაბმული კუდი ჰქონდა,
და სახალხო ჭირნახული
თავის სახლში გადაჰქონდა.
ამბობენ რომ ყალბ მოწმობებს
ურიგებდა ქურდებს ცნობილს,
რომელთანაც საქმე ჰქონდა—
ონისიმეს—მის კარგ ძმობილს..
ვნახოთ ეხლა რას ეტყვიან—
აქამდე რომ გვედგა ბოლთით...
შოლტიანო, მოგვეშველე
გავა მაგრა აწვი შოლტით!..

ბაიდარანელი.



— ერთი სიტყვით ძალიან მოხერხებულად და მადიანად გაგიიმასქნიათ და გადაგიყლაპავთ სახელმწიფო ფული!..

— მაშ, როგორც გამოცდილ მუშაკს გთხოვთ მიიღოთ უკეთესი და საპატიო ადგილი.

## სამკითხველოში

(ძლივნად ახალსენაკს)

— ყარამანს სიცოცხლე!
— გამიმარჯოს!
— ერთი ეს წიგნი გამომიცვალე... უკეთესი რამე არა გაქვთ?
— წიგნების მეტი რა გვაქვს?! რომელიც გსურდეს, წაიღე.
— მაინც?
— რომელი ერთი ჩამოგითვალო? ბობორიკინი, ბისემსკი...
— კიდევ?
— გონჩაროვი, ფეტი, ვერბიცკაია, ერთი-ორი წიგნი გოგოლის და ტოლსტოის...
— ქართულია?
— არა, რუსული...
— სამწუხაროდ, რუსული არ ვიცი.... ქართული წიგნები არა გაქვთ?
— როგორ არა, შე კაი კაცო... „გაბრიელ ეპისკოპოსი და მისი ქადაგებანი“, „სამცხე-საათაბაგო“, „ძველი ეკლესიები საქართველოში“, „მეფე სოლომონი“, „ათას ერთი ღამე“, ჟურნალი „მნათობი“...
— მაშ „მნათობი“ მომეცი, შენი ჭირიმე...
— ერთი ნომერი გვქონდა და ისიც დაიკარგა...
— აბა უწიგნოთ ვიყვეთ?
— ასე არ სჯობია? არც შენ გეტკინება თვალები, არც მე შემაწუხებს ვინმე! ნახვამდის, გამიმარჯოს!

ა. ილეგნეშ.

## განუკურნებელი სენი



— თქვენი ავადმყოფობა გამოწვეულია შიშით კოლექტივების ზრდის წინაშე... ვერ დაგიძალავთ, შველა არაფრით შემიძლია!

## აღმშენებელი

ლეონიდეს მშენებლობით
ოჩხა გაუხარებია—
ორ სართულიანი სახლით
ეზო დაუმშვენებია.
ექვსი წელიწადი არის
აღმასკომის თავმჯდომარედ,
აშენა, გააკეთა,
დაიმშვენა ეზო, მხარე.
იმედია ჩვენც გვეწვევა
კომისია „გამჩიხტავი“—
დაუფასებს ლეონიდეს,
რომ სოფლისთვის „დახლთ“ [illegible]

[illegible]

## ჩვენი ფოსტა

ზოლიანს (სილნალი)— ახირებული კაცია ზოლიანი! გინდათ თუ არა დაბეჭდეთ შემი ლექსიო!

„ერთხელ მხოლოდ ისიც ძილში
„ის ვნახე რაც მე მენატრებაო,
„ღვიძარი თუ ვნახავ მას,
„კიდევ უფრო გამეხარებაო“..

ეს კიდევ რაა?! ქვევით უნდა წაგიკითხათ! ამას აიტანდა ქალალდი?, როგორ გეკადრებათ!!

დარდიმანდს (გაურკვეველია): — „კოოპერატივის ნოქარმა მთელი სიმინდი შეჭამაო“... პელაგრა არ დამართია?

შავთვალას (შაშიანი):— შავთვალა სჩივის:

„კულაკებმა თავში დამკრეს,
„ვაი ღმერთო მიშველეო“!

მილიციელისთვის რომ დაგეძახნა, გიშველიდა. არ იცი, რომ ღმერთი კულაკს არ უღალატებდა და შენ რა გიშველიდა?

მელანას (სხიორი):— აილო მელანამ და ათასი წლის მოლა მასრადინის ერთ-ერთი ამბავი გამოგვიგზავნა დასაბეჭდავად. გვატყუებ მელანაჯან? ბნელა?!

ოსტატს — დაიბეჭდება.

სარდიონს (შრომა) — ძალიან ზრდილობიანი კაცია სარდიონი. მოთხრობა გამოგვიგზავნა და თან მოგვწერა:— „წაიკითხეთ, თუ არ შეწუხდებითო“.

ამ ერთხელ არაუშავს რა, ჩემო სარდიონ, თუ კიდევ არ გაიმეორე!

მელიას (ხოდაბუნი)— თქვენი ლექსი ასე თავდება:

### ნამდვილი საფრთხობელა



ჩიტი: ——შენი კი არ მეშინია, ახ მაფრთხობს, რომ ამხელა ბოსტანში საკენკი არაფერია!

„დამესიზმრა, ვითომ ლექსი
„დაგვებეჭდათ ჟურნალ შოლტში“..

სიზმარმა ხშირად ტყუილი იცის, ამხ. მელია!

ზოსიმეს (ნავენახები):— „ჩემი მტრების გულმოსაკლავად და მოკეთეების გასახარათ დამიბეჭდეთ ეს ლექსიო“!— იწერება ზოსიმე.

თქვენი მტრების გახარება და მოკეთეების გულის მოკვლა რომ არ გვინდა, სწორედ იმიტომ არ ვბეჭდავთ.

სხივს (ხიდისთავი): — „სხივი“ გვწერს: „გთხოვთ დამიბეჭდოთ ეს ლექსი. წვრილი შვილების და ცოლის პატრონი ვარ. წაიკითხავენ, გაეხარდებათო“.

რა გამხსნელებს შენ ცოლშვილს, თუ მუშაობის მაგიერ ასეთ ლექსებით კვებავ მათ?! მათი ცოდვა იყოს შენს კისერზე!

ქაჯანას (მეჯვრისხევი):— ქაჯანა გვთხოვს— აუცილებლად გამაგებინეთ— თუ არ დაბეჭდეთ, თუ არაფერი უშველება, აქ გარდაცვალების ქელეხს გადავიხდიო“.

გადაიხადეთ. არაფერმა უშველა. პირდაპირ ხელში შემოგვაკვდა. მიიღეთ წილი ვართ თქვენი მწუხარების!



თავმჯდომარეა, დაღლა
[redacted] მუდამ ზრუნვამ, ტარებამ.

ერთი სოფლიდან მეორე
სოფელში მიეჩქარება.



თავმჯდომარეა, საქმეზე
არ შეიწუხა ტვინია.

მიაჯირითებს ლურჯასა—
ხაცა სუფრა და ლხინია.



ხან კრებაზეა, გლეხობას
თავს უყრის ყოველ დღიურად.

ურჩევს შეერთდენ შრომისთვის,
იბრძოლონ კოლექტიურად.



ჯანწი-ყანწს მისდევს, ლხინი-ლხინს,
დღეები ასე მიდიან.

„მრავალჟამიერს" იმღერის—
საქმე ფეხებზე ჰკიდია.



ხან გლეხკომშია, ხან ბანკში—
საქმისგან განუყოფელი.

უნდა რომ ძირფესვიანად
გარდაქმნას თავის სოფელი.



ჩვენს თავმჯდომარეს სხვა ვინმე
ვერ შეედრება ამაში.

ხან თუ დუქანში „კარტაობს",
ხან დროს მკვლავს ნარდის თამაშში.



სახლში ბრუნდება დაღლილი
აქაც ზრუნვაა მრავალი.

ცოლს მოაქვს საქმე-საქმეზე,
არა აქვს გამოსავალი.



ღვინით მთვრალი და „დაღლილი" ჩვენი „მოღვაწე"—ძილისთვის
თავი რომ გაუბრუვდება, ბოლოს ოჯახში ბრუნდება.